მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის' (,,უსმა'/,,USMA') ინიციატივითა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით გაიმართება ღონისძიება: ,,21-ე საუკუნის ქალაქები: უსაფრთხოება, მდგრადობა", მიძღვნილი ქალაქების მსოფლიო დღისადმი



2014 წლიდან ქალაქების მსოფლიო დღე აღინიშნება 31 ოქტომბერს. ის დადგენილ იქნა 2013 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით (რეზოლუცია A/RES/68/239), იმ მიზნით, რომ მიპყრობილიყო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მსოფლიო ურბანიზაციისა და მსოფლიო ქალაქების პრობლემებისადმი.

ქალაქები-ეს არის ინტელექტუალური საქმიანობის, კულტურის, მეცნიერების, საწარმოო შრომის, ვაჭრობის, სოციალური განვითარების და სხვა მრავალი ასპექტის ცენტრი.

3,5 მილიარდი ადამიანი-მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს დღეისათვის ქალაქებში და ეს ციფრი აგრძელებს ზრდას.

გაერო-ს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2030 წლისთვის პლანეტის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი იქნება ქალაქების მაცხოვრებელი.

1800-იანი წლების დასაწყისში ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის 2 პროცენტი, 1950 წლისთვი- უკვე30 პროცენტი.

ყოველ დღე ქალაქების მოსახლეობა იზრდება 180 ათასი ადამიანით.

ასეთი სწრაფი ურბანიზაცია ქმნის არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს, არამედ მთელ რიგ ახალ პრობლემებს: ქალაქები განიცდიან მზარდ გამოწვევებსა და რისკებს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. მათ შორისაა: საცხოვრისით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანდაცვა, განათლება, შრომის ბაზარი, გარემოს დაცვა და საერთო უსაფრთხოება.

მიუხედავათ გაერო-ს მცდელობისა ახალი პროგრამების შემუშავებითა და დანერგვით გააუმჯობესოს ქალაქის მაცხოვრებელთა ცხოვრების ხარისხი, გამოწვევები კვლავ მრავლადაა.

იმისათვის, რომ შემუშავებულიყო მოქმედების ეფექტური გეგმა ქალაქებში ცხოვრების მოხერხებული პირობების უზრუნველსაყოფად და მისი რეალიზაციის კონტროლისათვის გაერომ გამართა სამი კონფერენცია. პირველი გაიმართა 1976 წელს ვანკუვერში (UN-Habitat 1), მეორე სტამბულში 1996 წელს (UN-Habitat 2).

2016 წელს კიტოში (ეკვადორი) გაიმართა მესამე კონფერენცია (UN-Habitat 3), სადაც მისმა მონაწილეებმა მიიღეს ახალი დღის წესრიგი ურბანიზაციის სფეროში.

აღნიშნული ხელშეკრულება პირდაპირი გაგრძელებაა გაერო-ს მიერ 2015 წლის სექტემბერში მიღებული დღის წესრიგისა მდგრადი განვითარების სფეროში 2030 წლამდე პერიოდისათვის.და კონკრეტულად მისი მე-11 მიზნისა :,,გავხადოთ ქალაქები და დასახლებული პუნქტები ღია, უსაფრთხო, სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი”.

ასევე დამატებით იხილეთ მასალა - თვილისის გენგეგმის განხილვა პარლამენტშია